სერტიფიცირებული ბუღალტრის სრული სასერტიფიკაციო პროგრამა

სასწავლო კურსის სილაბუსი მოდულისათვის -„ფინანსური ანგარიშგება“

ა. ბუღალტრული აღრიცხვის კონცეპტუალური საფუძვლები

1. კონცეპტუალური საფუძვლების საჭიროება

ა) დაახასიათეთ, რას ნიშნავს ბუღალტრული აღრიცხვის კონცეპტუალური საფუძვლები.

ბ) იმსჯელეთ, არის თუ არა აუცილებელი კონცეპტუალური საფუძვლები და რა შეიძლება იყოს მისი ალტერნატიული სისტემა

გ) განიხილეთ, რას ნიშნავს შესაბამისობა და სამართლიანი წარდგენა და აღწერეთ ინფორმაციის რომელი ნიშნები აძლიერებს ამ მახასიათებლებს.

დ) განიხილეთ, სამართლიანი წარდგენა მეტია, ვიდრე საბუღალტრო სტანდარტებთან შესაბამისობა.

ე) განიხილეთ, რას ნიშნავს აღქმადობა და შემოწმების შესაძლებლობა, ფინანსური ინფორმაციის მიწოდებასთან მიმართებით.

ვ) განიხილეთ, რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის შესადარისობას და დროულობას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

ზ) განიხილეთ, შესადარისობის პრინციპის გამოყენება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების ბუღალტრულად ასახვის დროს.

2. აღიარება და შეფასება

ა) განმარტეთ, რას ნიშნავს „აღიარება“ ფინანსურ ანგარიშგებაში და განიხილეთ აღიარების კრიტერიუმები.

ბ) გამოიყენეთ აღიარების კრიტერიუმები:

- აქტივებისა და ვალდებულებებისათვის;
- შემოსავლისა და ხარჯებისათვის.

გ) ახსენით შემდეგი მაჩვენებლები და გამოითვალეთ შესაბამისი თანხები:

- პირვანდელი ღირებულებით;
- რეალური ღირებულებით/მიმდინარე ღირებულებით;
- ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით;
- მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებით;
- რეალური ღირებულებით.

დ) აღწერეთ პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის უპირატესობები და ნაკლო ვანებები.

ე) განიხილეთ, აღმოფხვრის თუ არა მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვა პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვით გამოწვეულ პრობლემებს.

ვ) აღწერეთ ფინანსური და ფიზიკური კაპიტალის შენარჩუნების ცნებები და რა გავლენას ახდენს ეს მოგების განმარტებაზე.

3. ფინანსური ანგარიშგებს მარეგულირებელი ჩარჩოები

ა) ახსენით, რისთვის არის საჭირო მარეგულირებელი ჩარჩოები, მათ შორის რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია ფასს-ებს ეროვნულ მარეგულირებელ ჩარჩოებთან შედარებით.

ბ) ახსენით, მარტო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები რატომ არ არის სრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩოები

გ) განასხვავეთ პრინციპებსა და წესებზე დაფუძნებული ჩარჩოები და განიხილეთ, ავსებენ თუ არა ისინი ერთმანეთს.

დ) აღწერეთ ბასსს-ის სტანდარტების დადგენის, მათ შორის, სტანდარტების გადასინჯვისა და სტანდარტების ინტერპრეტაციების დადგენის პროცედურული პროცესი.

ე) ახსენით, რა სახის ურთიერთკავშირი არსებობს ეროვნული სტანდარტების დამდგენ ორგანოებსა და ბასსს-ს შორის, სტანდარტების დადგენის პროცედურული პროცესის ფარგლებში.

4. ჯგუფისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ცნება და პრინციპები

ა) დაახასიათეთ ჯგუფის, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის, ცნება.

ბ) ახსენით შვილობილი საწარმოს განმარტება სათანადო სტანდარტების გამოყენებით.

გ) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და სხვა მარეგულირებელი საფუძვლების გამოყენებით განსაზღვრეთ გარემოებები, როდესაც ჯგუფისგან მოითხოვება კონსოლი-დირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

დ) აღწერეთ შემთხვევები, როდესაც ჯგუფს შეუძლია მოითხოვოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისგან გათავისუფლება.

ე) აღწერეთ, რის გამო შეიძლება არ სურდეთ დირექტორებს შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია და ასევე სიტუაციები, როდესაც ამის გაკეთება ნებადართულია.

ვ) ახსენით, რატომ არის აუცილებელი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესადგენად ერთი და იგივე საანგარიშგებო თარიღები და ერთგვაროვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

ზ) ახსენით, რატომ არის აუცილებელი შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირება.

თ) ახსენით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზანი.

ი) ახსენით, რატომაა აუცილებელი შვილობილ საწარმოში ჩადებული ინვესტიციებისთვის რეალური ღირებულების გამოყენება და, იმავდროულად, შვილობილი საწარმოს იდენტიფიცირე-ბადი აქტივებისა და ვალდებულებებისთვისაც რეალური ღირებულება, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

კ) განმარტეთ მეკავშირე საწარმო და ახსენით კაპიტალ-მეთოდის გამოყენების პრინციპები და მისი გამოყენების მხარდამჭერი არგუმენტები.

ბ. სამეურნეო ოპერაციების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

1. მატერიალური გრძელვადიანი აქტივები

ა) განმარტეთ და გამოითვალეთ გრძელვადიანი აქტივის (მათ შორის, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და საწარმოს მიერ შექმნილი) საწყისი შეფასება.

ბ) განსაზღვრეთ შემდგომი დანახარჯები, რომელთა კაპიტალიზაციაც არის ნებადართული, ერთმანეთისგან განასხვავეთ კაპიტალური და მიმდინარე დანახარჯები.

გ) განიხილეთ გრძელვადიანი აქტივების გადაფასებასთან დაკავშირებული სათანადო სტანდარტების მოთხოვნები.

დ) ბუღალტრულად ასახეთ გადაფასება და გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული შემოსულობა და ზარალი.

ე) გამოითვალეთ ცვეთა თვითღირებულებისა და გადაფასების მოდელების მეშვეობით და ისეთი აქტივებისთვის, რომლებიც შედგება ორი ან მეტი მნიშვნელოვანი ნაწილისგან (რთული შედგენილობის აქტივები).

ვ) გამოიყენეთ სახელმწიფო გრანტების აღრიცხვისთვის სათანადო სტანდარტების დებულებები.

ზ) განიხილეთ, რატომ განსხვავდება საინვესტიციო ქონების აღრიცხვის მიდგომა სხვა ტიპის ქონების სააღრიცხვო მიდგომისგან.

თ) გამოიყენეთ საინვესტიციო ქონებისთვის სათანადო სტანდარტების დებულებები.

2. **არამატერიალური აქტივები**

ა) განიხილეთ საწარმოში წარმოქმნილი და შეძენილი არამატერიალური აქტივების ბუნება და მათი სააღრიცხვო მიდგომები.

ბ) განასხვავეთ ერთმანეთისგან გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.

გ) დაახასიათეთ არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმები.

დ) აღწერეთ გუდვილის შემდგომი სააღრიცხვო მიდგომა, მათ შორის, გუდვილის გაუფასურების ტესტირების პრინციპი.

ე) განმარტეთ, რა იწვევს იმას, რომ შეძენილი ინვესტიციების კომპენსაციის ღირებულება შეიძლება ნაკლები იყოს შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების ღირებულებაზე და როგორ უნდა აისახოს ბუღალტრულად მათ შორის არსებული განსხვავება (სხვაობის თანხა).

ვ) აღწერეთ და გამოიყენეთ სათანადო სტანდარტების მოთხოვნები სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების აღრიცხვისთვის.

3. **აქტივების გაუფასურება**

ა) განმარტეთ, გამოთვალეთ და ბუღალტრულად ასახეთ გაუფასურების ზარალი.

ბ) ბუღალტრულად ასახეთ ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის გაუქმება.

გ) ჩამოაყალიბეთ სიტუაციები, რომლებიც შეიძლება აქტივების გაუფასურების მიმანიშნებელი იყოს.

გ) განმარტეთ, რას ნიშნავს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული

დ) ახსენით, რის საფუძველზე ხდება გაუფასურების ზარალის განაწილება და გაანაწილეთ გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემადგენელ აქტივებზე.

4. **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**

ა) აღწერეთ და გამოიყენეთ მარაგის შეფასების პრინციპები.

ბ) გამოიყენეთ ბიოლოგიური აქტივებისთვის სათანადო სტანდარტების დებულებები.

5. **ფინანსური ინსტრუმენტები**

ა) ახსენით, რატომ არის საჭირო სააღრიცხვო სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ბ) განმარტეთ ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კონტექსტში.

გ) ახსენით და ბუღალტრულად ასახეთ დებიტორული დავალიანების ფაქტორინგი.

დ) აღწერეთ, როგორ უნდა შეფასდეს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგი კატეგორიები და როგორ უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მათი შემდგომი შეფასებით განპირობებული შემოსულობა და ზარალი:

(1) ამორტიზებული ღირებულებით;

(2) რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (მათ შორის, როდესაც წილობრივი ინსტრუმენტის მიმართ გაკეთდა შეუქცევადი არჩევანი, რომ იგი არ არის სავაჭროდ გამიზნული);

(3) რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ე) განასხვავეთ სავალო და წილობრივი კაპიტალი.

ვ) გამოიყენეთ სათანადო სტანდარტების მოთხოვნები შემდეგი ტიპის აქციების ემისიისა და ფინანსური დანახარჯების მიმართ:

(1) სააქციო კაპიტალი (ჩვეულებრივი აქციები);

(2) გამოსყიდვადი პრივილეგიური აქციები და სავალო ინსტრუმენტები, კონვერტაციის უფლების გარეშე (ამორტიზებული ღირებულების პრინციპი);

(3) კონვერტირებადი სესხი.

6. იჯარა

ა) ბუღალტრულად ასახეთ აქტივის გამოყენების უფლება და იჯარის ვალდებულება მოიჯარის ჩანაწერებში.

ბ) ახსენით, მოიჯარის ანგარიშებში იჯარის აღიარებიდან განთავისუფლების კრიტერიუმები.

გ) ბუღალტრულად ასახეთ უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციები.

7. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ა) ახსენით, რისთვის არის აუცილებელი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი, ანარიცხების შესახებ.

ბ) განასხვავეთ იურიდიული და კონსტრუქციული მოვალეობები.

გ) განმარტეთ, როდის შეიძლება შეიქმნას ანარიცხები და როდის არ შეიძლება და აჩვენეთ, როგორ უნდა აისახოს.

დ) ახსენით, როგორ უნდა შეფასდეს ანარიცხები.

ე) განმარტეთ პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები და აღწერეთ მათი სააღრიცხვო მიდგომა.

ვ) განმარტეთ და ბუღალტრულად ასახეთ:

(1) საგარანტიო მომსახურება/გარანტიები;

(2) წაგებიანი კონტრაქტები;

(3) გარემოს დაცვისა და სხვა მსგავსი ანარიცხები;

(4) ანარიცხები მომავალი რემონტის ან კაპიტალური რემონტისთვის.

ზ) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები:

(1) განასხვავეთ და ბუღალტრულად ასახეთ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები;

(2) განსაზღვრეთ ოპერაციები, რომლებიც ცალკე უნდა განიმარტოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

8. საგადასახადო დაბეგვრა

ა) ბუღალტრულად ასახეთ მიმდინარე გადასახადი, სათანადო სტანდარტების შესაბა მისად.

ბ) ახსენით, რა გავლენას ახდენს დასაბეგრი დროებითი სხვაობები სააღრიცხვო და დასაბეგრ მოგებაზე.

გ) გამოითვალეთ და ბუღალტრულად ასახეთ გადავადებული გადასახადის თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. ფინანსური შედეგების წარდგენა ანგარიშგებაში

ა) განიხილეთ, რა მნიშვნელობა აქვს განგრძობითი და შეწყვეტილი ოპერაციების შედეგების განსაზღვრას და ანგარიშგებაში წარდგენას.

ბ) განმარტეთ და ბუღალტრულად ასახეთ გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები.

გ) განიხილეთ გარემოებები, როდესაც შემოსავლებისა და ხარჯების არსებითი მუხლების ცალკე ასახვა მოითხოვება.

დ) ასახეთ სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და წინა პერიოდების შეცდომების გასწორება.

ე) შემოსავალი ერთ აქციაზე:

(1) გამოითვალეთ შემოსავალი ერთ აქციაზე, სათანადო სტანდარტების შესაბამისად (გაითვალისწინეთ ბონუსური ემისია, სრული საბაზრო ღირებულება და უფლებითი ემისია);

(2) ახსენით, რისთვის არის საჭირო ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის მაჩვენებელი და გამოითვალეთ გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე, კონვერტირებადი ვალისა და აქციის ოფციონების (ვარანტების) მონაწილეობით.

10. ამონაგები

ა) ახსენით და გამოიყენეთ ამონაგების აღიარების პრინციპები:

(1) ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;

(2) ხელშეკრულების თითოეული შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიკაცია;

(3) გარიგების ფასის განსაზღვრა;

(4) გარიგების ფასის განაწილება ხელშეკრულებით იდენტიფიცირებულ შესასრულებელ ვალდებულებებზე;

(5) ამონაგების აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილდება.

(ბ) ახსენით და გამოიყენეთ აღიარების კრიტერიუმები ამონაგების, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულებას, რომლის შესასრულებელი ვალდებულება სრულდება დროთა განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში.

გ) აღწერეთ შესასრულებელი ვალდებულების დასრულების ეტაპის განსაზღვრის მიღებული მეთოდები.

დ) ახსენით და გამოიყენეთ სახელშეკრულებო დანახარჯების აღიარების კრიტერიუმები.

ე) გამოიყენეთ ამონაგების აღიარების პრინციპები და ასახეთ სამეურნეო ოპერაციების შემდეგი ტიპები:

(1) მარწმუნებელი და რწმუნებული რეალიზაცია;

(2) გაყიდვისას და უკუშესყიდვის შეთანხმება;

(3) შეთანხმება ანგარიშის წარდგენითა და მფლობელობის დროებით შენარჩუნებით;

(4) კონსიგნაციური მარაგი.

ვ) მოამზადეთ ფინანსური ანგარიშგების ამონარიდი ხელშეკრულებებისთვის, როდესაც შესასრულებელი ვალდებულების შესრულება ხდება დროთა განმავლობაში.

11. სახელმწიფო გრანტები

ა) გამოიყენეთ სახელმწიფო გრანტისთვის სათანადო სტანდარტების დებულებები.

12. სამეურნეო გარიგებები უცხოურ ვალუტაში

ა) ახსენით, რა განსხვავებაა ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას შორის და ახსენით უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კორექტირების აუცილებლობა.

ბ) ასახეთ გადაანგარიშება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისა და საანგარიშგებო თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი/ არაფულადი მუხლების.

გ. ერთი კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და ინტერპრეტაცია

1. ფინანსური ანგარიშგების შეზღუდვები

ა) განიხილეთ პრობლემები, რომლებიც ახლავს წარსული პერიოდების ინფორმაციის გამოყენებას საწარმოს მომავალი საქმიანობის შედეგებისა და ტენდენციების პროგნოზირებისათვის.

ბ) განიხილეთ, როგორ შეიძლება ფინანსური ანგარიშგებით მანიპულირება წინასწარგა მიზნული სასურველი შედეგების მისაღებად (შემოქმედებითი ბუღალტრული აღრიცხვა, „ვიტრინის შელამაზება“).

გ) ახსენით, რა იწვევს იმას, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მონაცემები შეიძლება არ იყოს მოცემული პერიოდის მონაცემების საშუალო მნიშვნელობების რეპრეზენტაციული, მაგალითად:

(1) საქმიანობის სეზონურობის გამო;

(2) მნიშვნელოვანი აქტივების შეძენის გამო, საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს.

დ) ახსენით, როგორ შეიძლება კონსოლიდირებულმა ფინანსურმა ანგარიშგების გამოყენებამ შეზღუდოს ინტერპრეტაციის მეთოდები.

2. სააღრიცხვო კოეფიციენტების გამოთვლა და ტენდენციების ინტერპრეტაცია, მომხმარებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნილებების პოზიციიდან

ა) განმარტეთ და გამოითვალეთ საჭირო ფინანსური კოეფიციენტები.

ბ) ახსენით, საწარმოს საქმიანობის შედეგების ამსახველი კონკრეტული კოეფიციენტების რომელი ასპექტები უნდა განიხილოთ და გააანალიზოთ.

გ) გააანალიზეთ კოეფიციენტები და შეაფასეთ საწარმოს/ჯგუფის საქმიანობის შედეგები და ფინანსური მდგომარეობა - შედარების გზით:

(1) საწარმოს წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან;

(2) სხვა ანალოგიური საწარმოს იმავე საანგარიშგებო პერიოდის კოეფიციენტებთან;

(3) დარგის საშუალო კოეფიციენტებთან.

დ) გააანალიზეთ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება და გამოთქვით თქვენი კომენტარები მომხმარებელთა (დაინტერესებულ მხარეთა) სხვადასხვა ჯგუფების პოზიციიდან.

ე) განიხილეთ, რით განსხვავდება მიმდინარე ღირებულებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგები პირვანდელი ღირებულებით შედგენილი ანგარიშგების ინტერპრეტაციის შედეგებისგან.

3. ინტერპრეტაციის მეთოდიკის შეზღუდვები

ა) განიხილეთ კოეფიციენტების ანალიზის შეზღუდვები, როდესაც გამოიყენება კორპორაციული საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.

ბ) განიხილეთ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს საწარმოთა საქმიანობის შედეგების ინტერპრეტაციაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ან განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებამ.

გ) მიუთითეთ სხვა ინფორმაცია, მათ შორის არაფინანსური, რომელიც შეიძლება გამოდგეს საწარმოს საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.

დ) ერთმანეთს შეუდარეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის სარგებლიანობა

ე) გააანალიზეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება (სხვა ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად) და გამოიყენეთ საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად.

(1) ახსენით, რა იწვევს იმას, რომ ერთ აქციაზე შემოსავლის ტენდენცია შეიძლება საწარმოს საქმიანობის შედეგების უფრო ზუსტი ინდიკატორი იყოს, ვიდრე მისი მოგების ტენდენცია და რა მნიშვნელობა აქვს ერთ აქციაზე შემოსავალს, როგორც საფონდო ბირჟის მაჩვენებელს,

(2) განიხილეთ ერთ აქციაზე შემოსავლის, როგორც საწარმოს საქმიანობის შედეგების მაჩვენებლის შეზღუდვები.

4. სპეციალიზებული, არაკომერციული და საჯარო სექტორის სამეურნეო სუბიექტები

ა) განიხილეთ სხვადასხვა მიდგომა, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს სპეციალიზებული, არაკომერციული და საჯარო სექტორის ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.

დ. ფინანსური ანგარიშგების მომზადება

1. **ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება**

ა) მოამზადეთ ერთი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ფასს-ებში დადგენილი სტრუქტურისა და შინაარსის მიხედვით და პროგრამის „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილში აღწერილი სააღრიცხვო მიდგომების შესაბამისად.

ბ) ახსენით საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების შინაარსი და მიზანი.

გ) მოამზადეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგება ერთი საწარმოსთვის (და არა საწარმოთა ჯგუფისთვის), სათანადო სტანდარტების შესაბამისად პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით.

2. **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება, მეკავშირე საწარმოს ჩათვლით**

ა) მოამზადეთ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მარტივი სტრუქტურის ჯგუფისთვის (მშობელი და შვილობილი საწარმო), გაითვალისწინეთ შეძენამდელი და შეძენის შემდგომი მოგება, არამაკონტროლებელი წილი და კონ- სოლიდირებული გუდვილი.

ბ) მოამზადეთ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება მარტივი სტრუქტურის ჯგუ- ფისთვის, რომელსაც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქვს შეძენა და არამაკონტროლებელი წილი.

გ) ახსენით და ბუღალტრულად ასახეთ სხვა რეზერვები (მაგ., საემისიო კაპიტალი და გადაფასება (რეზერვები).

დ) ბუღალტრულად ასახეთ შიდაჯგუფური ვაჭრობის შედეგები (მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში).

ე) ბუღალტრულად ასახეთ რეალური ღირებულების კორექტირების გავლენა შემდეგ მუხლებზე (მათ შორის, კონსოლიდირებულ გუდვილზე):

(1) ამორტიზებადი და არაამორტიზებადი გრძელვადიანი აქტივები;

(2) მარაგი;

(3) ფულადი ვალდებულებები;

(4) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჩართული არ არის შვილობილი საწარმოს საკუთარ ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მათ შორის პირობითი აქტივები და ვალდებულებები.

ვ) ბუღალტრულად ასახეთ გუდვილის გაუფასურება.

ზ) აღწერეთ და გამოიყენეთ კონსოლიდირებული გუდვილისთვის სათანადო სტანდარტების მოთხოვნები.

თ) ახსენით და აჩვენეთ მშობელი კომპანიის მიერ შვილობილ კომპანიაში ფლობილი ინვესტიციის გაყიდვის გავლენა მშობელი კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე და/ან ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე (მხოლოდ მშობელი საწარმოს მიერ შვილობილ საწარმოში ფლობილი მთლიანი ინვესტიციის გაყიდვის შემთხვევაში)